


საბა

2024, თებერვალი

ადამიანი
2024



დეკემბერი

რედაქტორის მვერდი ...	3-4
აპოლიკა ეკლესია	
მსოფლიოში.....	5-6
ჩვენი ეკლესია.....	7-8-9
საიმილეო წელი.....	10-11
ჩანართი:.....	I-IV
სახარების სისარულის	
მოწევი.....	12-13
სოციალური მვერდი - Caritas Georgia	14
სოციალური მვერდი - Iner Georgia.....	15
კონფერენცია.....	16-17
აპოლიკარი	
კულინარია	18
ინფორმაცია.....	19

- 1** დეკემბერი - ადვენტის | კვირადღე, ახალი ლიტურგიული წელიწადის დასაწყისი
- 8** დეკემბერი - მარიამის უმანკო ჩასახვის დიდღესასწაული, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის დღეობა
- 17** დეკემბერი - მ. კონსტანტინე საფარიშვილის გახსენება (+1973)
- 17** დეკემბერი - შობის ნოვენის დასაწყისი
- 25** დეკემბერი - ქრისტეშობა, საიუბილეო წლის დასაწყისი
- 26** დეკემბერი - წმ. სტეფანეს დღესასწაული, ოზურგეთის საკრებულოს დღეობა
- 27** დეკემბერი - წმ. იოანე მოციქულისა და მახარებლის დღესასწაული
- 28** დეკემბერი - წმ. ბეთლემელ წვილთა დღესასწაული
- 29** დეკემბერი - ნაზარეთის წმიდა ოჯახის დღესასწაული, გორის კათოლიკური ეკლესიის დღეობა



„ყალბ დემოკრატიაზე უპრესი დიეტატურა არ პრსებობს“



იყო კი ეს დამთხვევა? უამრავი ვერსია გაფლერდა, ამიტომ განსაკუთრებით ელოდნენ სალამოს საქართველოს პრეზიდენტის განცხადებას. სამწუხაოდ, 26 ოქტომბრის შედეგები კვლავ ძალიან წინააღმდეგობრივია, მიუხედავად ხმების დათვლისა და გადათვლისა; შესაძლოა, საუბარი იყო არა ხმების გადათვლაზე, არამედ მოწმეთა მიერ შეგროვებულ ჩვენებებზე, რათა შემდეგ უფრო მკაფიო და ნაკლებად მასობრივი ინიციატივები შეეთავაზებინათ; ამ ვითარებაში, ოფიციალური პროცენტების მიხედვით, ირკვევა, ვინ მოიგო და ვინ წააგო; თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არავის მოუგია და ერთადერთი, ვინც წააგო, იყო ამ ქვეყნის დემოკრატია.

შესაძლოა, პარტიის „ოცნებაშ“ გაიმარჯვა, მაგრამ მათ ნამდვილად წააგეს ხალხის „ოცნებები“; შეიძლება ჯგუფის ამბიციამ გაიმარჯვა, მაგრამ საზოგადოების ლირსება დაიკარგა; მათ, რომლებმაც ფული ჩადეს საარჩევნო რეკლამაში, შეიძლება გაიმარჯვეს, მაგრამ დაკარგეს მთელი ერის, მათ შორის, საზღვარგარეთ მცხოვრებ მოქალაქეთა ერთიანობა. განა არ უნდა დაგვაფიქროს იმ ფაქტმა, რომ ქალაქები, ქუჩები, ავტობუსები, მიკროავტობუსები, კედლები... დიდი ხნის განმავლობაში ერთი პარტიის ფერებით იყო დაფარული და მხოლოდ ბოლოს, მორიდებით გამოჩნდა სხვა პარტიების რეკლამები?

„შეიყვარეთ სამართლიანობა, ქვეყნის მსაჯულნო, შეიცანით უფალი სიკეთით და გულის სიწრფელით ეძიეთ იგი...“ (სიბრძნ. 1, 1). ამ სიტყვებით დავიწყე დილის ლოცვების კითხვა 27 ოქტომბრის კვირადღეს, როდესაც უამთა ლიტურგიის წიგნი გადავშალე. იმ დღეს პაერში უცნაური სურნელი შევიგრძენი... მთელი დღის განმავლობაში მიჩნდებოდა მძაფრი სურვილი, გამეგო, ვინ მოიგო, ან ვინ წააგო წინა დღის არჩევნები და როგორ წარიმართა ყველაფერი.

**მააბ გაპრიელე
პრაგანტინი CSS
მთავარი რედაქტორი**

სფიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი
ეუმარიზმისა და კულტურის
დარგში; ქუთაისის,
გათუმაშისა და ოზურგეთის
საპრეზულოთა ნინო მამა



რედაქტორის გვერდი

ერთ-ერთ ავტობუსზე განთავსებული იყო რეკლამა 4, ჩემთვის ვფიქრობდი, ციფრი ხომ არ დაავიწყდათ-მეთქი? განა არ უნდა დაგვაფიქროს ზოგიერთმა მართლაც უგემოვნო საარჩევნო პლაკატმა, სადაც ოპოზიციონერთა სახეები, როგორც „ძალლები“, ისე ეჭირათ ლაგამით და ვინ იცის ვის? გამბედაობა არ ეყოთ ეჩვენებინათ, ვის ეჭირა ისინი ლაგამით! ან თუნდაც ომისა და მშვიდობის ამსახველი სარეკლამო პლაკატები? რა თქმა უნდა, თუ დავფიქრდებით, ომის ეს სურათები აღებულია იმ ომიდან, რომელიც პროვოცირებულია, - ყოველ შემთხვევაში, არაპირდაპირი გზით, - არა ევროპული ქვეყნების, არამედ უშუალოდ ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან მყოფი ქვეყნის მიერ.



ასირიულ-ქალდეური კათოლიკური ეკლესია თბილისში

და მშვიდობის ამსახველი სურათები? ვისი ნაყოფია? ვინც მართავდა და ისევ სურს მმართველობის გაგრძელება? ვინ იცის, ვისაგან მიიღეს ამდენი ეკონომიკური რესურსი, მიუხედავად უცხოური აგენტების შესახებ საგადასახადო კანონისა! განა არ უნდა დაგვაფიქროს იმ ფაქტმა, რომ საქართველოს დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში ხალხმა უპირატესობა არ მიანიჭა მმართველ პარტიას, მაშინ როცა სხვა რეგიონებში უმცირესობაში აღმოჩნდნენ პარტიები? უცნაური პოლიტიკური გეოგრაფიული რუკა იკვეთება, რამაც უნდა დაგვაფიქროს, ყოველ შემთხვევაში, თუკი იქნება იმის სურვილი, რომ მმართველობას შეუდგნენ ნამდვილად „პოლიტიკური“ და არა „პარტიული“ გზით, რომელიც ემსახურება არა საკუთარ, არამედ ყველა მოქალაქის ინტერესებს.

ალბათ, ვინმე იტყვის, რომ ეს „შეუძლებელია“; არადა შესაძლებელია, თუკი გაჩნდება სურვილი, მოვიძიოთ საერთო პროექტები, საერთო მიზნები, რომლებიც არ დაიყოფა უმრავლესობად და უმცირესობად; ვიდრე ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, შუქნი-შანთან რომ დგანან და მოწყალებას ითხოვენ ავადმყოფისათვის, ვიდრე ისევ მიდიან საზღვარგარეთ სამუშაოს საძიებლად, ვიდრე შენობები, ბეტონის ურჩეულები, შენდება ლამის ერთმანეთზე მიწყობილი და თვით ტაძრებსაც კი არად აგდებენ (მახსენდება თბილისის ასირიული კათოლიკური ეკლესია), რაც ნამდვილად სირცხვილია! ეს ნიშნავს, რომ რაღაც არ მუშაობს მათ პროექტებსა და მიზნებში, ვინც მართავდა და ემზადება ხელახალი მმართველობისათვის. როგორ დასრულდება ეს ყველაფერი? ალბათ, იმავე სცენარით, როგორც ოთხი წლის წინ, სცენარით, რომელიც პრაქტიკულად ამოქმედდა ყოფილი საბჭოთა ბლოკის სხვა ქვეყნებში.

მაშასადამე, დემოკრატიის გამოწვევა ისეთივე აქტუალურია, როგორც არასდროს, რათა შეიქმნას სივრცე დიალოგისათვის, შეხვედრებისათვის, მომავლისათვის, თანამშრომლობისათვის, ახალგაზრდების ქვეყნიდან გადინების წინააღმდეგ, პესიმიზმის აღმოსაფხვრელად, სუფთა ხელებით მოსული ახალი სახეების მოსაზიდად, მათ შორის გულწრფელი საუბრისათვის, ვინც ხალხით ინტერსდება, ვისაც უნარი აქვს იმსახუროს კლიენტელიზმის, ოპოზიციის, დაშინების და, რატომაც არა, „რელიგიური ფაგორიტიზმის“ გარეშე... თუ არადა, როგორც ომანელმა მძლეოსანმა მოჰამედ ფედი ბენ საადიმ თქვა: „ყალბ დემოკრატიაზე უარესი დიქტატურა არ არსეობს“.

კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულად ავალიზაციი

„სინოდი - მრავალფეროვნების
ჰარმონია და
მავიდობის მყოფელობის
ნიშანი“



Per una Chiesa sinodale
comunione | partecipazione | missione


26 ოქტომბერს დასრულდა კათოლიკური ეკლესიის ეპისკოპოსთა სინოდის მე-16 რიგითი გენერალური ასამბლეა - „სინოდური ეკლესია: თანაზიარება, მონაწილეობა, მისია“. სამღვდელოთა და საერთო სამწლიანი ღვანლის მიზანი სინოდური ეკლესიის აღმშენებლობაა, - ისეთი ეკლესიისა, რომელშიც ყველა მისი წევრი ქმედით მონაწილეობას იღებს. 26 ოქტომბერს, საღამოს სხდომაზე, უწმიდესმა ფრანცისკემ მოიწონა სინოდის დასკვნითი დოკუმენტი და გასცა მისი დაუყოვნებელი პუბლიკაციის განკარგულება. „მე არ გამოვაქვეყნებ პოსტსინოდურ სამოციქულო შეგონებას. დოკუმენტში უკვე არის კონკრეტული მითითებები, რომლებითაც ეკლესია სხვადასხვა კონტინენტზე და სხვადასხვა კონტექსტში იხელმძღვანელებს. ამიტომაც მსურს, რომ ის დაუყოვნებლივ გახდეს ხელმისაწვდომი ყველასთვის, ამიტომაც ვამბობ, რომ ის ახლავე უნდა გამოქვეყნდეს“, - აღნიშნა თავის სიტყვაში უწმიდესმა პაპმა. დოკუმენტი ხუთი თავისაგან შედგება. პირველ თავში („სინოდურობის გული“) საუბარია ეკლესიის ერთობაზე. სინოდური გზა განისაზღვრება როგორც სულიერი ერთობა, ეკლესიის ყველა წევრის ერთობლივი მისია. მეორე თავში („ნავში, ერთად“) საუბარია ურთიერთობების განახლებაზე ეკლესიის წევრთა შორის, სხვადასხვა მოწოდების, კონტექსტისა და კულტურის ურთიერთმიმართებაზე, სამღვდელოთა და საერთო შორის პარმონიასა და ოჯახის სიმრთელეზე. მესამე თავში („ისროლეთ ბადე“) განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკლესიის შიგნით გამჭვირვალობის აუცილებლობას, სტრუქტურების გაუმჯობესებას და ანგარიშვალდებულებას. მეოთხე თავში („უხვი ნათევზავები“) განხილულია ეკლესიათა შორის ურთიერთობა, ეკუ-

მენური ერთობა, კავშირების გამყარება მრავალფეროვანი საყოველთაო ეკლესიის შიგნით. მესუთე თავში („მე მიგავლინეთ თქვენ“) საუბარია მოწაფე მისიონერების დიდი თემის ფორმირებაზე, ეკლესიის ყოველი წევრის სულიერ განვითარებაზე სინოდური, მისიონერული ეკლესიის აღმშენებლობისათვის.

უწმიდესი ფრანცისეს პატი ენციკლიკა

24 ოქტომბერს გამოქვეყნდა უწმიდესი პაპის ახალი ენციკლიკა „Dilexit nos“ („მან შეგვიყვარა“). ეს ფრანცისკეს მეოთხე ენციკლიკა, რომელშიც იგი „ისო ქრისტეს გულის კაცობრივ და ღმრთაებრივ“ სიყვარულზე საუბრობს. ისევე როგორც თავის სხვა ენციკლიკებში, პაპი აკრიტიკებს ისეთ მოვლენებს, როგორიცაა სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა, ინდივიდუალიზმი, „ისეთი ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობას“ და საპარნონედ მოგვიწიდებს „დავუბრუნდეთ“ ჩვენს გულებს, რადგან მხოლოდ ასე შევძლებთ ერთობისა და მშვიდობის მიღწევას: „გულის სიმბოლო ხშირად გამოიყენება ისო ქრისტეს სიყვარულის გამოხატვისათვის. ზოგიერთები ასეთ კითხვას სვამენ: აქვს კი დღეს ამ სიმბოლოს რაიმე მნიშვნელობა? ჩვენ ზედაპირულობის ეპოქაში ვცხოვრობთ, ერთი საქმიდან მეორისკენ მივექანებით და არც კი ვიცით რისთვის. და საბოლოოდ ვიქცევით გაუმაძღარ მომხმარებლებად და საბაზ-

DILEXIT NOS He Loved Us ENCYCLICAL LETTER



კათოლიკური ეკლესია მსოფლიოში რუსულან ავალიშვილი

რო მექანიზმების მონებად, რომელთაც სულაც არ ადარადებთ ცხოვრების საზრისი. ასე რომ, ყველას გვჭირდება გულის მნიშვნელობის ხელახალი გააზრება“ (Dilexit nos 1,2).

ნოტი საყდრის სახელმწიფო მდივანი მომავალის არჩევის შესახებ

7 ნოემბერს, პაპის გრიგორიანულ უნივერსიტეტში უურნალიტებთან საუბრისას, წმიდა საყდრის სახელმწიფო მდივანმა, კარდინალმა პიეტრო პაროლინმა იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი შეძლებს თავისი წვლილის შეტანას მიმდინარე მწვავე კონფლიქტების მოგვარებაში: „უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მას დიდ სიბრძნეს ვუსურვებთ, რადგან, ბიბლიის თანახმად, ეს მმართველის მთავარი სიქელეა. ვფიქრობ, ის მთელი ქვეყნისთვის ნამდვილი პრეზიდენტი უნდა გახდეს, ანუ უნდა შეძლოს არსებული პოლარიზაციის დაძლევა“. რაც შეეხება ტრამპის განცხადებას იმის შესახებ, რომ მისი მმართველობისას ომები დასრულდება, პაროლინმა აღნიშნა: „არ მგონია, რომ მას ჯადოსნური ჯოხი ჰქონდეს. ჯერჯერობით ყველაფერი ძალზე ბუნდოვანია. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს“. არალეგალური მიგრანტების მასობრივი დეპორტაციის შესახებ ტრამპის განცხადების თაობაზე იერარქმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი წმიდა საყდრის პოზიციას ამ საკითხზე და იმედი გამოთქვა, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ახალი ადმინისტრაცია სინამდვილეში არ მიმართავს ასეთ რადიკალურ ზომებს. კარდინალმა, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ სიცოცხლის დაცვის საკითხი შეხების ის წერტილია, რომელიც წმიდა საყდარს და ტრამპის ადმინისტრაციას კონსენსუსის ძიების შესაძლებლობას მისცემს. რაც შეეხება ვატიკანისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობებს, სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ დიალოგი მხოლოდ საეკლესიო საკითხებს მოიცავს და გაგრძელდება იმის მიუხედავად, თუ როგორ განვითარდება ჩინეთისა და აშშ-ს ურთიერთობა.

უკრაინა: რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამრევლოები მანადგურებულია

„ამ ხანგრძლივი დამანგრეველი ომის განმავლობაში ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამრევლოების ნახევარზე მეტი დავიარგეთ, - განაცხადა იტალიურ გაზეთ Avvenire-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბერძნული წესის კათოლიკე ეკლესიის დონეცკის ეპარქიის ეპისკოპოსმა, მაქსიმ რიაბუხამ, - ტაძრებში აღარ დარჩა სკამები და საღვთისმსახურეო ჭურჭელი. ჩვენ



იქ ვიქენებით, სადაც ჩვენი მრევლია. მღვდლები კარდიკარ დადიან და ანუგეშებენ თავიანთი სამწყსოს წევრებს, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს და იძულებულები გახდნენ თავიანთი სახლები და ტოვებინათ. ჩვენ ვართ მოძღვრები და ლვთისმსახურები, რომელთაც ტკივილის, უსამართლობისა და უსუსურობის უამს უწევთ მსახურება. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქრებიან ადამიანები, რომლებიც ღიად აცხადებენ თავს კათოლიკე მორნმუნებად. ზოგს ხვრეტენ, ზოგს აპატიმრებენ. ვიცით, რომ ადრე თუ გვიან ომი დასრულდება, მაგრამ გვსურს, ეს რაც შეიძლება მალე მოხდეს“.

ნიკარაგუაში კვლავ იზღუდება აღმსარებლობის თავისუფლება

ამჯერად ორტეგას რეუიმმა საავადმყოფოებში მომაკვდავი მორნმუნების ზეთისცხებისა და ზიარების საიდუმლოების აღსრულება აკრძალა. როგორც აღნიშნა სამართალდამცველმა მარტა პატრიცია მოლინამ, არიან გაბედული მღვდლები, რომლებიც, დაპატიმრების საფრთხის მიუხედავად, საერთო სამოსში გამოწყობილები, მაინც შედიან საავადმყოფოებში და მორნმუნე კათოლიკეებს სიკვდილის წინ ანუგეშებენ. თუმცა პატარა ქალაქებში, სადაც მაცხოვრებლები მოძღვრებს პირადად იცნობენ, ეს ერთობრთულია, რადგან საავადმყოფოების ადმინისტრაცია ფრთხილობს და ლვთისმსახურებს დაწესებულებებში შესვლის ნებას არ აძლევს. 13 ნოემბერს ქვეყნიდან განდევნეს კიდევ ერთი კათოლიკე მღვდელმთავარი, ნიკარაგუის ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაური, ხინოტეგის ეპისკოპოსი, კარლის ენრიკე ერერა. 10 ნოემბერს, საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ, თავის ქადაგებაში ეპისკოპოსმა ქალაქის მუნიციპალიტეტი და, სახელდობრ, ხინოტეგის მერი, ლეონიდას სენტენო გააკრიტიკა. საქმე ისაა, რომ მუნიციპალური ხელისუფლება საკათედრო ტაძართან სწორედ წირვების დროს ხალხმრავალ და ხმაურიან შეხვედრებს აწყობდა. „ის, რასაც აკეთებს მერი და მუნიციპალური ხელისუფლება, მერეხელობაა“, - აღნიშნა კარლოს ერერამ. სამი დღის შემდეგ ამ სიტყვების გამო მღვდელმთავარი გვატემალაში გააძევეს.

კათოლიკობა მურიაში

XIX საუკუნეში გურიის სამთავროში, თეატრი-ნელ მამათა მსახურებით, დაარსდა კათოლიკური მისია, ჩამოყალიბდა ადგილობრივი კათოლიკური სამრევლო. კათოლიკური მისიონი პირველ ეტაპზე საკმაოდ წარმატებულად ვითარდებოდა, თუმცა გურიის მთავართა მხრიდან პოლიტიკური ვექტორის შეცვლის შემდგომ თეატრინელი მამები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ გურიის სამთავრო და ოდიშის მთავართა მიწვევით სამეგრელოში გადასულიყვნენ. ახალ ადგილზე კათოლიკე მამებმა ოდიშის მთავრის დიდი სიმპათია და ადგილობრივი მოსახლეობის სიყვარული დაიმსახურეს და კიდევ უფრო მეტი წარმატებით განაგრძეს მსახურება. კათოლიკე მამების წასვლის შემდგომ გურიაში კათოლიკურმა სამრევლომ არსებობა შეწყვიტა და მხოლოდ სამსაუკუნოვანი ინტერვალის შემდგომ, 1999 წლიდან, წმ. სტიგმელთა კონგრეგაციის მამების, კონკრეტულად კი მამა გაბრიელე ბრაგანტინის, ძალისხმევით გურიაში კვლავ აღდგა კათოლიკური ეკლესია.

მიმდინარე წელს შესრულდა 25 წელი, რაც გურიაში რამდენიმე კათოლიკური საკრებულო ფუნქციონირებს და ქალაქ ოზურგეთში თანამედროვე არქიტექტურის კათოლიკური ტაძარიც აიგო. ამ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ ოზურგეთის ტაძრის წინამძღვანს, მამა გაბრიელე ბრაგანტინის. გთავაზობთ ამ საუბრის საურნალო ვერსიას.

შეიძლება ითქვას, კათოლიკობის ისტორია გურიაში მეორე ეტაპის ფაზაშია. მე-17 საუკუნეში თეატინელთა მისიის შემდგომ, წმ. სტიგმელთა კონგრეგაციის მამათა მეშვეობით, მე-20 საუკუნის ბოლოს კვლავ აღდგა მოქმედი კათოლიკური საკრებულოები გურიაში. მამა გაბრიელე, ხომ ვერ გაიხსენებდით, როგორ დაიწყო გურიის კათოლიკური აღორძინება? როგორი იყო თქვენი მისიის პირველი ნაბიჯები და, კონკრეტულად, რა სირთულეები ახლავს თან ამ მისიას?

სიამოვნებით; ამჯერად, შეგვიძლია მეორე ეტაპზე ვისაუბროთ, თუმცა, უფრო მართებული იქნებოდა მესამე ეტაპზე საუბარი, რაკი პირველი ეტაპი იწყება XVII საუკუნეში თეატინელთა ჩამოსვლით, რომლებმაც წმიდა სტეფანეს სახელზე ააგეს ეკლესია და სკოლა; ეს იყო აყვავების ხანა; მეორე ეტაპი დგება XX საუკუნეში, როდესაც მეორე ეკლესია აიგო ნახევრად ქვისაგან და ნახევრად ხისაგან, იქვე, ღელესთან ახლოს, გვერდით იყო სასაფლაოც, რომელიც საუკუნის შუა ხანებამდე ფუნქციონირებდა; ამ პერიოდის შესახებ ძალზე მნირე ინფორმაცია გვაქვს, მხოლოდ ის ვიცით, რომ მოგვიანებით ეკლესია საცხოვრებელ სახლად გადაკეთდა. მესამე ეტაპი იწყება სოფელ შრომის კათოლიკე ოჯახებთან კავშირის აღდგენით; სწორედ ამ აღდგენილი კავშირების წყალობით გაჩნდა მოთხოვნილება, რომ დავკავშირებოდით ოზურგეთში მყოფ კათოლიკე ოჯახებსაც.



ჩვენი ეკლესია ლეგზარ პარდაველიძე

პირველი შეხვედრები 1999 წელს შედგა, მოუთმენლად გველოდნენ, ვიკრიბებოდით ერთ-ერთ ოჯახში, ბევრი ადამიანი მონანილეობდა, განსაკუთრებით მოხუცები, ბავშვები... მამაკაცები უფრო ნაკლებად; ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს არც არასოდეს შეუწყვეტიათ ღვთისმსახურება, გალობდნენ სომხურ საგალობლებს, საკუთარი ხელით ჰქონდათ დაწერილი ლოცვის წიგნები, საგულდაგულოდ შენახული ბარათები წმიდა გამოსახულებებით; ქალბატონების მცირე ჯგუფი იკრიბებოდა სხვა ოჯახში, სადაც ეზოში სამლოცველოც კი ააგვე; შევხვდი ასევე ქალაქის მართლმადიდებელ ეპისკოპოსს, რათა მისთვის მეცნობებინა კათოლიკებთან დაწყებული საქმიანობის შესახებ. ამჯერად, მგონია, რომ გაცილებით მეტი სირთულე გვაქვს, ვიდრე დასაწყისში იყო, უფრო მეტად, მორწმუნების მხრივ: მაშინ გაცილებით მეტი იყო მონანილეობა, ინტერესი, სიახლოვე და, რა თქმა უნდა, დროც... ძირითადი აქტივობები ცენტრში მიმდინარეობს, იქ ყოველ კვირას, ორშაბათობით, მივდივარ წირვის აღსასრულებლად, მონაზონლორედანასთან ერთად, იქვე ვატარებთ შეხვედრებს და, საჭიროების შემთხვევაში, ვასრულებთ ჯვრისწერის, დაკრძალვის მსახურებასაც...

ოზურგეთში „კარიტასი“ ახორციელებს შინმოვლის პროექტს, ეხმარება ხანდაზმულ, მარტოსულ, ღარიბ, ავადმყოფ ადამიანებს, მათ შორის არიან კათოლიკებიც; ჯერ კიდევ არ ჩამოგვიყალიბებია სამწყსო საბჭო, თუმცა, შეხვედრები ნამდვილად არ გვაკლია, მათ შორის, კატეხისტური ხასიათის, რომლის მიმართ დიდია ინტერესი და დასწრება.

კათოლიკე მოსახლეობა გურიის რამდენიმე სოფელში მკვიდრობს, ცხადია, კათოლიკეთა თემი სხვადასხვა პრობლემის წინაშე დგას: ახალგაზრდობის დენადობა, ახლო თუ შორეულ ემიგრაციაში გამგზავრება, ეთნიკურ თუ კონფესიურ უმცირესობაში ყოფნა, თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ეთნოკონფესიური განსხვავება, ერთი მხრივ, უფრო უნდა იცავდეს ადგილობრივ კათოლიკურ სამრევლოს პროზელიტიზმის მავნე გავლენებისაგან; როგორც წინამძღვარი, წლების მანძილზე როგორ ეხმარებით სამრევლოს წევრებს ამ და სხვა სიძნელეთა მოგვარებაში?

მართალია, კათოლიკები არიან არა მარტო ოზურგეთში, არამედ სხვაგანაც; თუმცა ამ ოჯახებთან კავშირი გვაქვს მხოლოდ ლოცვის დროს, როცა რომელიმე კათოლიკე გარდაიცვლება, ან სხვა გარემოებაში; პრობლემები უკავშირდება ოჯახური, სოციალური და ეროვნული ხასიათის შემთხვევებს; ბოლო დროს შეინიშნება ახალგაზრდების, ბავშვებისა და მოზარდების ნაკლებად მონანილეობა წირვაში... ყველა აღნიშნავს, რომ დრო არა აქვს ეკლესისთვის; თუმცა, მიჭირს ამის დაჯერება; არცთუ ცოტა ირჩევს, შეიძლება ითქვას, ძალდატანებითაც, მართლმადიდებლურ ან სომხურ სამოციქულო ტრადიციის და ეს ვლინდება ჯვრისწერის, დაკრძალვის, ნათლობის დროს არჩევანში. ბევრი დედაქალაქში გადავიდა საცხოვრებლად და უჭირს ადგილობრივ მრევლთან ურთიერთობა, ბევრიც საზღვარგარეთ მიდის.




ჩვენი ეკლესია ცეგზარ პარდაველიძე

თქვენი უშუალო ხელმძღვანელობით აიგო ოზურგეთში კათოლიკური ტაძარი, რომელიც, თავისი ინტერიერისა და ერთიანი შიდა სივრცეების ფუნქციური მონცობით, გამორჩეულია თანამედროვე ქართულ სატაძრო არქიტექტურაში. რამდენად შეძელით გადმოგეცათ თქვენი არქიტექტურული ჩანაფიქრი ამ პროექტის განხორციელებაში და რა ცვლილებებს ან დამატებებს შეიტანდით, კვალავაც რომ მოგეცეთ ტაძრის აგების შესაძლებლობა?

ცალკე სტატიას იმსახურებს წმიდა სტეფანესადმი მიძღვნილი ეკლესის აგების ისტორია; ჩვეული სირთულეების შემდეგ, რაც მუდამ ახლავს ახალი კათოლიკური ეკლესის მშენებლობას, გადაწყდა შეგვესყიდა გასაყიდად გამოტანილი შენობა და ნელნელა გადაგვეკეთებინა, ნაწილი ლიტურგიისთვის, ნაწილი მღვდლის სამყოფ ადგილად და ნაწილი სხვა ღონისძიებებისათვის; ვფიქრობ, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა, თუმცა შენობა გარედან უბრალო, თითქმის უმნიშვნელო ჩანს; უფრო მეტად საინტერესოა ის ნაწილი, რომელიც ლიტურგიას ეთმობა, თავისი დიდი შესასვლელით, აქვე არის ნამდვილი ჭა, ემბაზი, მიწისქვეშა ამფორები წირვისათვის საჭირო ღვინის დასაყენებლად და სააღმსარებლო; ლიტურგიისათვის განკუთვნილ დარბაზს აქვს ორი მთავარი ადგილი: ამბიონი, რომლის უკან ღვთისმშობლის ხის ქანდაკებაა და საკურთხეველი, უკან დიდი ჯვარცმით; არის, ასევე, ადგილი წმიდა ევქარისტიის შესანახავად; ლამაზია ეკლესის ვიტრაჟები და უძველესი Via Crucis; საკურთხევლის ქვეშ დაცულია წმიდა სტეფანეს რელიკვიები; ვფიქრობ, ეს ყველაფერი კარგად ერწყმის ერთმანეთს და დატვირთულია მნიშვნელობებით; დიდი ზარი აგვირგვინებს ეკლესის ფასადს. ჯერ-ჯერობით არაფერს შევცვლიდი...

მამა გაბრიელე, თქვენ ოზურგეთის საკრებულოსა და, შეიძლება ითქვას, სრულიად გურიის კათოლიკეთა წინამდღვარი ხართ, რა პერსპექტივებს ხედავთ ამ რეგიონში კათოლიკობის განვითარებაში და რა სიახლეებს უნდა ველოდეთ გურიის კათოლიკე სამრევლოების ცხოვრებაში?

ამჟამად რთულია პერსპექტივებზე საუბარი; პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ეს არის ეკლესიაში მღვდლის მუდმივი სამყოფელი, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევდა... მაგრამ...



და ბოლოს, იმედს გამოვთქვამთ, რომ ოზურგეთის საკრებულოს ეყოლება თავისი მუდმივი მოძღვარი და კათოლიკე ეკლესია მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ადგილობრივი მორწმუნების სულიერ და კულტურულ ცხოვრებაში. გვინდა, უურნალ „საბას“ სახელით, მამა გაბრიელეს, ყველა კათოლიკე მღვდელმსახურს, ვისაც თავისი წვლილი შეაქვს გურიის რეგიონის კათოლიკე მრევლის ცხოვრებაში, და ყველა მორწმუნე კათოლიკეს წარმატება და სულიერი სიმტკიცე ვუსურვოთ. ღმერთმა დალოცოს ეს ლამაზი კუთხე და იქ მოღვაწე მშრომელი, გულისხმიერი, რწმენის ერთგული კათოლიკები.

2025 წლის იუბილეს სამზადისში - იმედის წმიდა წელი



მთელი მსოფლიოს მორწმუნები ემზადებიან 2025 წლის იუბილეს აღსანიშნავად რომში, მარადიულ ქალაქში, სადაც მილიონობით მომლოცველს ელოდებიან.

რას ნიშნავს იუბილე

სახელწოდება „იუბილე“ მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან - „იობელ“, რაც ნიშნავს „ვერძის რქას“. რქა გამოიყენებოდა როგორც საყვირი და მისი ხმა აუწყებდა იომ-ქიფურის („გამოსყიდვის დღე“) დღესასწაულის დაწყებას. ეს არის ყოველწლიური ღონისძიება, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც ემთხვევა საიუბილეო წელს: როგორც ბიბლია გვაუწყებს, ის უნდა აღენიშნათ ყოველ 50 წელიწადში ერთხელ: „ვერძობისა იყოს თქვენთვის ეს ორმოცდამეათე წელი. არ თესოთ და არც მომეათ ნაგერალები, და არ დაკრიფოთ ყურძენი გაუსხლავი ვაზიდან. რადგან ეს ვერძობაა, წმიდა იყოს ის თქვენთვის. ველიდან ჭამდეთ მის მოსავალს“ (ლევ. 25,11-12). ლუკა თავის სახარებაში იმოწმებს ესაია წინასწარმეტყველს და ასე აღწერს იესოს მისიას: „უფლის სულია ჩემზე, ვინაიდან მან მცხოვრილი გლახაკთა სახარებლად, მომავლინა გულშემუსვრილთა განსაკურნებლად,

ტყვეთათვის თავისუფლების და ბრძათათვის თვალის ახელის გამოსაცხადებლად, ჩაგრულთა გასათავისუფლებლად, უფლის შეწყალების წლის გამოსაცხადებლად“ (ლუკ. 4,18-19; შდრ. ეს. 61,1-2). იესოს ეს სიტყვები განთავისუფლებისა და რწმენად მოქცევის საქმებით აისახა მის ყოველდღიურ შეხვედრებსა და ურთიერთობებში.


როგორ იწყება იუბილე და რამდენ სანს გრძელდება

საიუბილეო თარიღის დაწყებისა და დასრულების თარიღები დგინდება პაპის ბულით, ანუ ლათინურ ენაზე დაწერილი დოკუმენტით, რომელზედაც დასმულია პაპის ბეჭედი. პაპმა ფრანცისკემ 2025 წლის იუბილე აუწყა ბულით „Spes non confundit“, რომელიც გამოიცა 2024 წლის 9 მაისს. 2025 წლის იუბილე იწყება ყველაზე ლამაზი რიტუალით - ვატიკანში, წმიდა პეტრეს ბაზილიკაში წმიდა კარის გახსნით, 2024 წლის 24 დეკემბერს, შობის წინადღით. ეს სიმბოლურად ასახავს ცოდვიდან მადლში გადასვლას, რიტუალს, რომელიც უნდა აღასრულოს ყოველმა ქრისტიანმა, რათა მიეცეს შესაძლებლობა საკუთარი თავისა და გარდაცვლილთათვის შენდობის თხოვნისა. იუბილე დასრულდება ერთი წლის თავზე, უფლის გაცხადების დღეს, 2026 წლის 6 იანვარს, წმიდა კარის დახურვით. ჩვენი ეკლესიაც უერთდება ამ მოვლენას და ემზადება საზეიმო დღესასწაულისათვის.

2025 წლის იუბილეს თემა

2025 წლის იუბილეს თემა იქნება „იმედის მომლოცველნი“, რაც ყურადღებას ამახვილებს მომლოცველობის, როგორც ცხოვრებისეული გზის, მეტაფორულ მნიშვნელობაზე, როგორც გამოსყიდვისა და შინაგანი სიმშვიდისაკენ მიმავალ იმედის გზაზე. ეკლესია ამხნევებს მორწმუნებს, რომ ამ პერიოდში იცხოვრონ იმედითა და სოლიდარობის სულისკეთებით, ხელახლა აღმოაჩინონ თავიანთი რწმენა გულმოწყალებითა და მოყვასთა მიმართ სიყვარულით.

სახელმწიფო სისამართლის ნათელის სიმბოლიკის მაშველი



ლიტურგიული წლის დასასრულს და, ასევე, ახალი ლიტურგიული წლის დასაწყისს (2024 წლის 24 ნოემბერი და 2024 წლის 1 დეკემბერი) ნათლის თემაზე დაფიქტება კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ რამდენი სინათლე და, შესაბამისად, რამდენი სიხარული განგვიცდია ამ წლის მანძილზე, ამ 12 თვეში, ნაკითხული სახარების წყალობით, გინდ პირადად, გინდაც საკვირაო ლიტურგიაზე, მრევლთან ერთად, ან რამდენჯერ გვინახავს კონკრეტულად განხორციელებული მრავალი ადამიანის ცხოვრებაში; ასევე კარგი საშუალებაა იმისათვის, რომ მოვემზადოთ ახალი საეკლესიო მოვზაურობისათვის, რომლის ცენტრშიც ყოველთვის დგას აღდგომის დიდდოესასწაული (2025 წლის 20 აპრილი) და საკვირაო წირვა; 2025 წელი იქნება „წმიდა“ წელი, ბიბლიისა და კათოლიკე ეკლესიის ტრადიციის მიხედვით (ტრადიცია მომდინარეოს XIV საუკუნიდან), რომელიც ემთხვე-

ვა 25-წლიან პერიოდს და ნიკეის კრების (325 წ.) 1700 წლისთაგს; რომის პაპი მოგვიწოდებს, რომ ამ „წმიდა“ წლის განმავლობაში ვიცხოვროთ იმედის შუქზე, როგორც „იმედის მომლოცველებმა“.

ნათელი - უნივერსალური სიმბოლური არქეტიპი

ყველა ცივილიზაციაში სინათლე ფიზიკური ფენომენიდან სიმბოლურ არქეტიპში გადაინაცვლებს, რამდენადაც მას მეტაფორული მრავალფეროვნების უსასრულო სპექტრი ახასიათებს, რაც განსაკუთრებით რელიგიურ თემატიკაში აღიბეჭდება. პირველადი კავშირი კოსმოლოგიურ ხასიათს ატარებს: ნათლის შემოსვლა აღნიშნავს ქმნილების აბსოლუტურ საწყისს მის არსა და არსებობაში. ემბლემატურია თავად ბიბლიის დასაწყისი: Wayy'omer 'elohim: Yehî 'ôr. Wayyehî 'ôr, „თქვა ღმერთმა: „იყოს ნათელი!“ და იქმნა ნათელი!“ (დაბ. 1, 3). ღმერთის ხმიერება, ერთგვარი ტრანსცენდენტული დიდი აფეთქებაა, რომლის მიზანიც ქმნილების მოვლინება იყო. ძველ ეგვიპტურ კულტურაშიც გასხვოსნებული ნათლით დგება პირველი კოსმიური გარიურაჟი, ის გამოსახულია წყლის დიდი შროშანით, რომელიც პირველქმნილი წყლებიდან გამოდის და მზეს წარმოშობს. ანალოგიური ხედვაა რიგვედას (Rig-Veda) არქაულ ინდურ თეოლოგიაში, რომელიც შემოქმედებით ღვთაებას, პრაჯაპატის, მიიჩნევდა პირველქმნილ ბერად, რომელიც აფეთქდა უთვალავი ნათლის, ქმნილების, პარმონიაში. ინდოეთშივე წარმოშობილ სხვა რელიგიურ მოძრაობაში მის დამფუძნებელს ტყუილად არ მიუღია ბუდას (Buddha) წმინდა ტიტული, რაც სწორედ „გასხვივოსნებულს“ ნიმუშავს. უახლეს ისტორიულ ეპოქებს რომ გადავხედოთ, ისლამი თეოლოგიურ სიმბოლოდ ირჩევს ნათელს, ყურანის 24-ე სურის სათაურიც კი ასე უდერს: An-nûr „ნურ“ - ნათელი, სინათლე. საქვეყნოდ ცნობილია მისი ერთი ტაპი, 35-ე მუხლი: „ალლაჰი ცათა და

საგანგებო ჩანართი



მიწის ნათელია. მისი ნათელი ნიშ-ში მოთავსეული ლაპტრის სინათ-ლის მსგავსია. დამპარი ჩასმულია კრისტალში, რომელიც ბრნყინ-ვალებით ვარსკვლავს ჰგავს. იგი ალდება კურთხეული ზეთისხილის სისაგან, რომელსაც არ ანათებს მზე მხოლოდ აღმოსავლეთიდან ან დასავლეთიდან. მისი ზეთი მზადაა ანათოს ცეცხლის მიუკარებლა-დაც. იგია ნათელი ნათელთა შო-რის! იგი თავისი ნათლისქენ მიუძ-ლვის მათ, ვისაც უყვარს!“ კიდევ შეგვიძლია მოვიყვანოთ მსგავსი მაგალითები აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურულ-რე-ლიგიური ექსპრესიებით, რომელ-ბიც თეოლოგიურ ქვაკუთხედად იღებენ იმ ფაქტს, რაც საერთო ადამიანური ეგზისტენციალური გამოცდილების საფუძველია. სი-ცოცხლე, ფაქტობრივად, „ნათ-ლის მოვლინებაა“ (რაც მრავალ ენაში დაბადებას ნიშნავს), ის მზის შუქზე ცხოვრებაა, ან ღამით მთ-ვარისა და ვარსკვლავების შუქის ქვეშ სიარულია.

ნათელი, როგორც „თეო-ლოგი-კური“ სიმბოლო

ამჯერად, ყურადღებას გავა-მახვილებთ მხოლოდ ორ ძირითად თვალსაზრისზე, რომლის მიზანია მხოლოდ ამ კოსმიურ რეალობაზე აგებული სიმბოლიკის კომპლექ-სურობა დაგვანახოს. ერთი მხრივ,

ჩავულრმავდებით ნათლის „თეო-ლოგიკურ“ თვისებას, რის გამოც ის ღმერთზე საუბრის ანალოგიაა და, მეორე მხრივ, განვიხილავთ შუქ-ჩრდილის დიალექტიკას თა-ვისი მორალური და სულიერი მნიშვნელობით; ამისათვის, დავეუ-რდნობით ებრაულ-ერისტიანულ წმიდა წერილს, რომელიც საუ-კუნების მანილზე წარმოად-გენდა ძირითად კულტურულ საყრდენს, როგორც აღიარებდა ფილოსოფიოს ფ. ნიცშე: „მათ შო-რის, რასაც ვგრძნობთ პინდარას ან პეტრარქას და ფსალმუნების კითხვისას, იგივე განსხვავებაა უცხო მიწასა და სამშობლოს შო-რის“ („მოსამზადებელი მასალები“ ავრორასათვის).

სხვა ცივილიზაციებისაგან გან-სხვავებით, რომელიც მარტივი ფორმით აიგივებენ ნათელს (გან-საკუთრებით მზის) ღვთაებრიო-ბასთან, ბიბლიას შემოაქვს არ-სებითი განსხვავება: ნათელი არ არის ღმერთი, მაგრამ ღმერთი ნათელია. ამდენად, ის სრულიად გამორიცხავს პანთეიისტურ რეალ-ისტურ ასპექტს და შემოაქვს სიმ-ბოლური პერსპექტივა, რომელიც ინარჩუნებს ტრანსცენდენტუ-ლობას, თუმცა იქვე აცხადებს, რომ ნათელი „მის ხელთა ნამო-ქმედარია“. ასე უნდა გავიგოთ ის განცხადებები, როთაც სავ-სეა ახალი აღთქმის წერილები,

განსაკუთრებით იოანესი. მათში გაცხადებულია: *ho Theōs phōs estín, „ღმერთი არის ნათელი“* (იოან. 1. 5). თავად ქრისტე ასე წარმოაჩენს თავს: *egō eími to phōs tou kósmou, „მე ვარ ნათე-ლი სოფლისა“* (იოან. 8, 12). ამ მიმართულებით მიდის ის ლიტერ-ატურული და საღვთისმეტყველო შედევრი ანუ საგალობელი, რით-აც იწყება იოანეს სახარება, სადაც ლოგოსი, სიტყვა-ქრისტე, წარ-მოდგენილია როგორც „ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც უნათებს სოფლად მომსვლელ ყოველ ადა-მოანს“ (1, 9). მნიშვნელოვანია ეს ბოლო ფრაზა. ნათელი აღიქმება როგორც ღვთის გამოცხადების სიმბოლო და ისტორიაში მისი მყოფობა.

ერთი მხრივ, ღმერთი ტრან-სცენდენტულია და ეს იმ ფაქტით გამოიხატება, რომ ნათელი გარე-განია, წინ მიგვიძლვის, გვისწრებს, გვძლევს, ხოლო ღმერთი ქმნილე-ბაშიც და კაცობრიობის ისტორი-აშიც მყოფი და აქტიურია, თავის თავს იმანენტურად წარმოაჩენს და ამის მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ ნათელი გარს გვეკვრის, გვათბობს, გვფარავს, გვმსჭვალა-ვს... სწორედ ამიტომ ხდება მორ-ნმუნეც მანათობელი: გავიხსენოთ ნათლით სხივფენილი მოსეს სახე (გამ. 34,33-35). მართალი მორნ-მუნეც მოზიარეა ამ ნათლისა, რო-გორც იესო აცხადებს თავის ცნო-ბილ „მთის ქადაგებაში“: „თქვენ სოფლის ნათელი ხართ... ასევე ანათებდეს თქვენი ნათელი ადა-მიანთა წინაშე“ (მათ. 5,14.16). ამ ხაზს თუ გავყვებით, თუკი პითაგ-ორას ტრადიცია მიიჩნევდა, რომ მართალ მიცვალებულთა სულები ირმის ნახტომის თანავარსკვ-ლავედად გარდაისახება, შესა-ძლოა ბიბლიაში, დანიელის წიგნ-იც ამ ინტუიციას მიყვება, მაგრამ ათავისუფლებს მას იმანენტური რეალიზმისაგან: „განპრძნობილ-ნი განათებიან, როგორც ცის მყარის ნათება და მრავალთა

სამართლისკენ მომაქცეველნი - როგორც ვარსკვლავები უკუნითი უკუნისამდე” (12, 3). პირველი საუკუნეების რომაულ ქრისტიანობაში - მას შემდეგ, რაც 25 დეკემბერი ქრისტეს შობის თარიღად შეირჩა (ეს თარიღი იყო მზის ღმერთის წარმართული დღესასწაული, ზამთრის ბუნიობაზე, რომელიც აღნიშნავდა ნათლის ამაღლების დასაწყისს) - უკვე საფლავის წარწერები მიანიშნებენ, რომ იქ დაკრძალულია ქრისტიანი, ელიოპაისი - „მზის შვილი“. შემდგომდროინდელ ქრისტიანულ ტრადიციაში ერთგვარი თეოლოგიური მზის სისტემა დგინდება: ქრისტე არის მზე, ხოლო ეკლესია - მთვარე, რომელიც არეკლილი შუქით ბრნებინდება; ქრისტიანები არიან მნათობნი, მოკლებულნი საკუთრივ ნათელს, მაგრამ განათებულნი უზენაესი ციური შუქით. საკმარისია, გავიხსენოთ ბიბლიის ბოლო წიგნი აპოკალიფსი, სადაც სრულყოფილი ესქატოლოგიური მომავლის იდეალური ქალაქის, ახალი და ზეციური იერუსალიმის, აღწერაში ნათევამია: „დამე აღარ იქნება და აღარ დასჭირდებათ არც სასანთლის შუქი და არც მზის ნათელი, ვინაიდან უფალი ღმერთი გაუნათებს მათ და იმეჯებენ უკუნითი უკუნისამდე“ (22, 5).

შუქ-ჩრდილის დიალექტიკა

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ციტირებულ ტექსტში ნახსენებია ღამის დასასრული. ეს არის ესქატოლოგისათვის (ანუ უამთა აღსასრულის) დამახასიათებელი ტოპოსი, როგორც ვკითხულობთ ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნში, რომელშიც, ისტორიის დასასრულის აღწერისას, გაცხადებულია: „იქნება ერთი დღე, უფლისთვის საცნაური: არც დღე და არც ღამე. მხოლოდ საღამოჟამს იქნება ნათელი“ (14, 7). ისტორიულ უამთასვლაში ნათელსა და ბნელს შორის არსებული ყოველდღიური რიტმი ჯერ კიდევ



დაბადების წიგნის ტექსტში ჩანს, ღმერთის შემოქმედებითი აქტი, რომელიც გამოიხატება „განშორებით“, არარაბის „უწესრიგობაში“ წესრიგს ადგენს (მდრ. დაბ. 1.4-5). მნიშვნელოვანია ნათლის განმარტება, როგორც რეალობა ტბბ - ებრაული ზედართავი სახელი, რომელიც აღნიშნავს კარგს, ლამაზსა და სასარგებლოს. ამის საპირისპიროდ, ბნელი არის ყოფიერების, სიცოცხლის, სიკეთის, ჭეშმარიტების უარყოფა.

ამავე მიზეზით გარდაიქმნება შუქ-ჩრდილის ანტითეზი მორალურ-სულიერ პარადიგმად. ეს მრავალ კულტურაში ვლინდება და თავის მნვერვალს აღნევს იოანეს სახარების ზემოხსენებულ საგალობელ-პროლოგში, სადაც ღმრთაებრივი სიტყვის „ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“ (1, 5), და შემდგომ: „ნათელი მოვიდა სოფელში და ადამიანებმა ნათელზე მეტად ბნელი შეიყვარეს... ვინაიდან ყველას, ვინც ბოროტებას სჩადის, სძულს ნათელი და არ მიდის ნათლისეკენ... ხოლო ჭეშმარიტების მოქმედი ნათლისეკენ მიდის“ (იოან. 3,19-21). ჩვ.ნ-აღ-მდე | ს-ის ებრაულ თემებშიც (და შემდეგ), რომლებიც ცხოვრობდნენ ქუმრანში, მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, მათი ერთ-ერთი ტექსტი აღწერს „ნათლის შვილთა ბრძოლას ბნელეთის შვილთა წინააღ-

მდეგ“. ეს დუალიზმი აისახება ანგელოზ-დემონთა დაპირისპირებაში, ერთმანეთს შეჭიდებულ ღვთაებებში, როგორიცაა შემოქმედი მარდუქი და დამანგრეველი თიამათი, ბაბილონის კოსმოგონიურ ღვთაებებში, ან ისეთ რელიგიაში, როგორიცაა სპარსული მაზდეიზმი, ან როგორებიც არიან დევა და აშურა ინდოეთში.

იგივე დიალექტიკა ახალ ფორმას იძენს მისტიკურ სიბრტყეზე, როდესაც შემოღის „ბნელი ღამის“ თემა, დიდი მისტიკოსი ავტორებისა და პოეტების მიერ განსჯილი, განსაკუთორებით მე-16 საუკუნის ესპანეთში, რომელთა შორისაა წმიდა იოანე ჯვრისა. ამ შემთხვევაში, სულის სიბრტყის ტანჯვა, განსაცდელი და მოლოდინი ჰერაკლის სამოსა, რომელიც წინ უსწრებს გამოცხადების ნათლის წარმოქმნას და ღმერთთან შეხვედრას. მოკლედ, ჩვენც შეგვიძლია არიელის შეძახილი გავიზიაროთ გოეთეს „ფაუსტიდან“: Welch Getöse bringt das Licht!, „რა აურზაური მოაქვს სინათლეს!“ (II, აქტი I, მ. 4671). ფაქტობრივად, ის დიდებული და სასიცოცხლო ნიშანია, წმიდა და ტრანსცენდენტული მეტაფორაა, მაგრამ არც მთლად უვნებელია, რამეთუ დაძაბულობას ქმნის დაპირისპირებულ მხარესთან, სიბრტყესთან, როცა გარდაიქმნება მორალური და ეგზისტენციალური ბრძოლის

საგანგებო ჩანართი

სიმბოლოდ. მისი გამოსხივება კოსმოსიდან ისტორიაში შეიჭრება, უსასრულოდან სასრულში გადაეშვება და სწორედ ამიტომაც ელტვის კაცობრიობა ნათელს, როგორც ის უკანასკნელი წამოძახილი, რაც თავად გოეთეს მიენერება: *Mehr Licht!* „მეტი სინათლე!“: ფიზიკური თვალსაზრისით, აგონისას დაბინდული თვალების გამო, მაგრამ ასევე, ეგზისტენციალური და სულიერი თვალსაზრისით, ნათლის უზენაესი ეპიფანიისაკენ ლტოლვის გამო. აი, რისკენ მოუხმობდა ფსალმუნში უძველესი ხანის ებრაელი პოეტი: „რადგან შენთან არის წყარო სიცოცხლისა. შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (ფსალ. 35.10).

ქრისტიანული ლიტურგია

აქ უხვად გამოიყენება ნათლის სიმბოლიკა. ეკლესია ხშირად გაგებული, ორიენტირებული და აღწერილი იყო, როგორც ნათლის სიმბოლო: ლამის განვრცობილი მიკროსამყარო და შეკუმშული მაკროსამყარო, რომელშიც ქრისტე ახალი „ნათლით მოსილი“ სამყაროს საძირკველი და ძალა ხდება; გავიხსენოთ, რომ გამოიგონეს ვიტრაჟი, რომლის მიზანი ყოველთვის იყო ქმნილების მოქცევა ნათელში. ლიტურგიის ცენტრი არის საკურთხეველი, რადგან ეს ის ადგილია,

სადაც უფალთან ურთიერთობა ადამიანთა ისტორიაში მოცემულია ყველაზე თვალისმომჭრელი სიცხადით, სწორედ სიკვდილისა და აღდგომის, მსხვერპლშენირვისა და ძღვენის, მიღებისა და განაწილების გახსნებისას, რათა ყველაზე ძლიერი შუქი დაცეს ამ ადგილს. თვით ამბიონიც, თუკი დარჩებოდა მკრთალ შუქში, მკითხველის სახე, შესაბამისად, ჩრდილში, რათა მისი ხმისათვის სიმკვეთრე მიეცა, რამდენადაც ჩვენს ეკლესიებში ღვთის სიტყვა სინამდვილეში იკითხება, და უკვე აღარ ისმინება, რადგან კითხვის დროს გარდაისახება მოსმენაში!

ნათლის სიმბოლიკის ყველაზე სადღესასწაულო გამოყენება ხდება სააღდგომო ცისკარზე, რომელიც იწყება ახალი ცეცხლის კურთხევით, საიდანაც ინთება აღდგომის კანდელი, აღმდგარი ქრისტეს სიმბოლო, ასევე, მორწმუნეთა სანთლები, როგორც პლასტიკური გამოხატულება იმ სასიცოცხლო ენერგიისა, რასაც ქრისტეს აღდგომა ბადებს მის მორწმუნებში. მთელი აღდგომის განმავლობაში კანდელი შეგვახსენებს ქრისტეს გამარჯვებას სივდილზე და ნათლობისა და დაკრძალვის დროს მორწმუნეთა შუაგულში თავსდება. მისი ალიდან დაინთება სანთლი, რომელიც ახალმონათლულს ეძლევა, როგორც რწმენის საიდუმლოდან

მიღებული შინაგანი გასხივოსნება. ეკეარისტიის დროს საკურთხეველზე ან მის მახლობლად დგამენ რო ან მეტ ანთებულ სანთელს (Istruzione generale del Messale Romano, n. 269). ასევე, სახარების უწყებისას იმართება მსვლელობა ანთებული სანთლებით, ქრისტეს განმანათლებელი სიტყვის პატივისცემის ნიშად. ლამპარი, რომელიც წმიდა საკრამენტის წინ ანთია, მუდმივად შეგვახსენებს, რომ ქრისტე, ვითარცა ცოცხალი პური, ქრისტიანთა მსახურებაშია. ნათლის სიმბოლიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს დილის ქებანისა და მწუხრის უამს. უძველეს დროში, მწუხრის უამს ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი არსებობდა: მას „ლუჩერნარიოს“ (ქრისტიანული) უნიდებდნენ. მზის ჩასვლისას ქრისტიანული თემები საღვთისმსახურო ლოცვას ლამპრების რიტუალური ანთებით იწყებდნენ. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება ხალხურ ღვთისმოსაობაში წმიდა გამოსახულების წინ სანთლების ან ლამპრების დანთებას ეკლესიაში ან სახლში: ის არის სიმბოლო ქრისტიანული ცხოვრებისა, რომელიც ნათლისა და სითბოს გაცემაში უნდა დაიხარჯოს და მარად ანთებული ნათელი იყოს. ქრისტეს ნათელი მოითხოვს გადაწყვეტილებას: უწინდებურად განაგრძო ცხოვრება, ან აირჩიო უფლის მცნებათა შესრულება, რითაც მიატოვებ საკუთარ ცოდვებს. ის, ვინც უარყოფს ნათელს, განწირულია სიბნელეში სამყოფად, გამორჩება კარი, აკლდება ლოცვა-კურთხევას აქ, ამ მინაზე და ბეჭინერებას. ქრისტეს მიერ მოტანილი ნათელი უნდა გავრცელდეს. პავლე მოციქული აცხადებს: „რადგან ნათლის ნაყოფი არის ყოველივე სიკეთეში, სიმართლესა და ქეშმარიტებაში“ (ეფეს. 5, 9). ქრისტეს ნათელში ცხოვრება ნიშავს იწვოდე და ბრწყინავდე სხვებისთვის.



საიუბილეო ცელი ააა გარიელი პრაგანტი



პირველი იუბილე

პირველი იუბილე გამოცხადდა 1300 წელს პაპ ბონიფაციუს VIII-ის მიერ. თავდაპირველად, იუბილე იგეგმებოდა ყოველ 100 წელიწადში ერთხელ, მაგრამ შემდეგ საიუბილეო წმიდა წლის აღნიშვნა დადგინდა (1343 წელს, კლემენტ VI-ის მიერ) ჯერ 50, ბოლოს კი (1470 წელს, პავლე II-ის მიერ) 25 წელიწადში ერთხელ. დროთა განმავლობაში აღინიშნებოდა სხვა იუბილეებიც, ე. წ. საგანგებო იუბილეები, მაგალითად, 1933 წელს პიუს XI-ის მიერ გამოცხადებულ იქნა იუბილე გამოსყიდვის წლისთავის აღსანიშნავად. ასევე, კარგად გვახსოვს 2015 წელს პაპ ფრანცისკეს მიერ გამოცხადებული გულმოწყალების წელი: ეს იყო ისტორიაში პირველი იუბილე, რომელშიც ერთდროულად ორი პაპი მონაწილეობდა - პაპი ფრანცისკე და პაპი ბენედიქტ XVI. ორივემ წმიდა კარი გაიარა. ამიტომაც, 2025 წელი რომის პაპ ფრანცისკესათვის მეორე იუბილე იქნება.

წმიდა კარი

წმიდა პეტრეს ბაზილიკის წმიდა კარი, დადასტურებული წყაროების მიხედვით, პირველად გახსნა პაპმა ალექსანდრე VI-მ 1500 წელს. რომში არის პაპის ოთხი ბაზილიკა, რომლებსაც აქვთ წმიდა კარი. ესენია: წმიდა იოანე ლატერანში, წმიდა მარიამი უმთავრე-

სი, წმიდა პეტრე ვატიკანში და წმიდა პავლე გალავანს მიღმა. დანარჩენ კართა გახსნის რიტუალი წმიდა პეტრეს ბაზილიკის კარის გახსნის შემდეგ აღესრულება. პაპი თავად ხსნის წმიდა კარს. წელს პაპი ფრანცისკე ასევე გახსნის ისტორიაში პირველ და ერთადერთ „დამატებით“ (extra) წმიდა კარს რომის გარეთ: ეს მოხდება 26 დეკემბერს რომის რებიძის ციხეში, წმიდა სტეფანეს დღესასწაულზე.

მომლოცველობა

„მოგზაურობა“ რომში მორწმუნეთათვის იუბილეს გულს წარმოადგენს. საიუბილეო წლის განმავლობაში დაგეგმილია შემდეგი იუბილეები: კომუნიკაციის სამყარო (24 იანვარი), ხელოვანები (16 თებერვალი), დიაკონები (21 თებერვალი), მოხალისეები (8 მარტი), ავადმყოფები (5 აპრილი), მოზარდები (25 აპრილი), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (28 აპრილი), მშრომელები (1-ლი მაისი), ბავშვები (24 მაისი), ოჯახები, ბებია-ბაბუები და მოხუცები (30 მაისი), სპორტი (14 ივნისი), აღმოსავლური ეკლესიები (28 ივნისი), ახალგაზრდები (28 ივნისი), ემიგრანტები (5 ოქტომბერი), ღვთისმშობლის სულიერება (11 და 12 ოქტომბერი), მისიონერები (18-19 ოქტომბერი), აღმზრდელები (30 ოქტომბერი - 2 ნოემბერი), გაჭირვებულები (16 ნოემბერი), გუნდები და ქორალები (21-23 ნოემბერი), პატიმრები (14 დეკემბერი).



სალვატორე მელონე (Salvatore Mellone) დაიბადა 1977 წლის 9 მარტს ბარლეტაში (ბარლეტა-ანდრია-ტრანი - პროვინცია იტალიაში, აპულიის რეგიონში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე), მორნმუნე ქრისტიანთა ოჯახში. იგი სიყმანვილიდანვე აქტიურად მონაწილეობდა ეკლესიის ცხოვრებაში, 2011 წელს კი სემინარიაში შევიდა. მას ჯერ კიდევ ბოლო ორი კურსი უნდა დაესრულებინა, როდესაც ექიმებმა დაუსვეს საშინელი დიაგნოზი: კიბოს უკანასკნელი სტადია. რომის პაპ ფრანცისკეს პირადი კურთხევით, მომაკვდავი სემინარიელი მღვდლად იქნა ხელდასხმული 2015 წლის 16 აპრილს. კურთხევამდე ორი დღით ადრე, სალვატორეს თავად პაპმა დაურეკა და შეპირდა, რომ აუცილებლად იქნებოდა ხელდასხმული. „მაკურთხე შენ მიერ აღვლენილ პირველ წირვაზე“, - სთხოვა შემდეგ პონტიფექსმა. როდესაც სალვატორეს ჰკითხეს, როგორ მიიღო პაპის ეს მოულოდნელი თხოვნა, მან უპასუხა: „მოწინებით და ცოტა უხერხულადაც, ოღონდ სიხარულით სავსე გულით, რადგან ყველა ჩვენგანისათვის ის არის მაგალითი და მასწავლებელი. ჩვენ უნდა მივყვეთ მას, ვაკურთხოთ და ვიღოცოთ მისთვის“.

დონ სალვატორე მელონე - ხორბლის მარცვალი, რომელიც კვდება და იძლევა ნაყოფს

ხელდასხმის დროს, მამა მელონემ წარმოთქვა: „დღეს ვგრძნობ, რომ თავად ქრისტეს მხრებზე მატარებენ. და, როგორც მღვდელი, მეც მხრებზე ვატარებ სტოლას ქრისტესთან ერთად სამყაროს ხსნისათვის. თუ ერთხელ მაინც შევძლებ ევქარისტიის აღსრულებას, ეს ჩემთვის იქნება ნამდვილი მონაწილეობა ქრისტეს მღვდელმსახურებაში“. ამ განსაკუთრებულმა შემთხვევამ ურჩმუნოთა ყურადღებაც კი მიიპყრო. ისინი გაოგნებული იყვნენ სალვატორეს უდიდესი სურვილით (სიკვდილსაც რომ აბუჩად იგდებდა): მიეძღვნა თავი ქრისტესთვის, ყოფილიყო მღვდელი თუნდაც მხოლოდ ერთი დღით.

მამა სალვატორემ მხოლოდ ორ-ნახევარი წელინადი იმსახურა მღვდლად ტრანის არქიეპარქიაში. იგი გამოირჩეოდა ღრმა სულიერებითა და დიდი შინაგანი კულტურით. მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, ის ყოველდღიურად აღავლებდა წირვას, ნათლავდა ბავშვებს და ანუგეშებდა სხვა პაციენტებს ონკოლოგიურ საავადმყოფოში, სადაც თავად მკურნალობდა. ადამიანები, რომლებიც მის სანახავად მოდიოდნენ, ყვებოდნენ, რომ მომაკვდავი მღვდელი მათთან საუბრისას გამუდმებით იმეორებდა: „რა მშვენიერია, იყო მღვდელმსახური და სხვას არაფერს ნაგრობდე!“ სიცოცხლის ბოლო დღეებში, როცა მას მხედველობა გაუუარესდა, ამბობდა, რომ ბუნებასთან ერთად ლოცვა ისწავლა. მისუსტებული ხმით მუდმივად მღლოცველი, იგი შეიგრძნობდა ცხოვრების რიტმს, მისი ოთახის აივნიდან რომ შემოდიოდა.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დონ სალვატორე მელონე იყო ხორბლის მარცვალი, რომელიც მინაში მოკვდა და გამოიღო მრავალი ნაყოფი. სულ ახლახან, გამომცემლობამ Edizioni San Paolo გამოაქვეყნა მისი აზრებისა და ფიქრების კრებული, სახელწოდებით „ნელი ნიავის ჩურჩული“, სადაც იგი წერდა: „დაავადებასთან ბრძოლაში, დღითიდღე ხვდები, რომ მიუხედავად გამოწვევებისა, არის იმედი, არის სილამაზე ჩვენზე უფრო დიადი, ჩვენზე უფრო

სახარების სიხარულის მოცევი ვარიკო ნოზაძე

აღმატებული, ის არის ღმერთი, ყოვლადწმიდა სამება. ქრისტეს განუზომელი ტანჯვისადმი ერთგულება ხსნის სინათლის სივრცეს ტანჯვის საიდუმლოში”.

ახლობელ ადამიანთა მოწმობით, სალვატორე ყველას აოცებდა თავისი სიხალისით, მიუხედავად იმისა, კარგად იცოდა, რომ მისი ცხოვრება ხანმოკლე და მტკიცნეული იქნებოდა. „იგი ოცნებობდა მღვდლად ხელდასხმაზე, - იხსენებს მისი და ადელი, - თუმცა თავისი მდგომარეობის გამო ეს შეუძლებლად მიაჩნდა, მაგრამ მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ღმერთი მას სიკვდილის შემდეგ უთუოდ აკურთხებდა მღვდლად. შემდეგ, როდესაც აცნობეს, რომ ხელდასხმა შესაძლებელი იყო, იგი განუზომელი სიხარულით აღივსო. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ კანკალებდა ეს დაუძლურებული, გამოფიტული ადამიანი უფალთან შეხვედრის ბედნიერებისაგან“.

იესოსთან შეხვედრა ნაყოფიერი აღმოჩნდა. „ჩემი ძმას, - აღნიშნავს ადელი, - სურდა დახმარებოდა ავადმყოფებს, რომელთაც თავის თანამგზავრებს უნიდებდა. ქიმიოთერაპიის სეანსების დროს, ჰოსპიტალში ყოფნისას, მან თავისი თვალით ნახა, როგორ იტანჯებოდნენ ისინი, ამიტომ სურდა მათთვის რაიმე კარგი გაეკეთებინა. მან ჩაიფიქრა ასეთი პროექტი: დავეხმაროთ ონკოლოგიურ ავადმყოფებს, რომლებიც მკურნალობენ ბარლეტას ჰოსპიტალში. მეგობრებსაც გაანდო თავისი ზრახვები. შემდეგ დაგვირეკა და ოჯახის წევრებს გვესაუბრა თავისი საოცნებო პროექტის შესახებ, თუმცა ხვდებოდა, რომ მის განხორციელებას ვერ მოესწრებოდა“.

მამა სალვატორეს ეს ოცნება რეალობად იქცა. 2022 წლის სექტემბერში გაიხსნა Casa Miriam (ქალწულ მარიამის პატივსაცემად), პატარა შენობა მელონების ოჯახის ბინაში, სადაც იღებენ ონკოლოგიურ პაციენტებსა და მათ ოჯახებს. სტუმრებს ხვდებიან ასოციაცია „კეთილი სამარიელის“ მოხალისები. აღსანიშნავია, რომ სახლისა და ასოციაციის სახელწოდებაც დონ სალვატორემ შეარჩია სიცოცხლის ბოლო დღეებში. „Casa Miriam“, - განმარტავს ადელი, - არის უბრალო ბინა, რომელსაც მართავენ ასოციაციის მოხალისეები, ისინი ყველაფერს აკეთებენ ავადმყოფთა საჭიროებისათვის, დღის განმავლობაში მათ გვერდით არიან, მიღიან პროდუქტებისა და მათთვის აუცილებელი ნივთების შესაძენად, ზრუნავენ საავადმყოფოში სამკურნალოდ მათ გადაყვანაზე. ეს არის მცირედი, რასაც ვაკეთებთ, მაგრამ ვაკეთებთ მთელი გულით“.

დონ სალვატორე მელონეს „ხანმოკლე“, მაგრამ „უსასრულო“ მღვდელმსახურება გამოხატული

იყო ტანჯულთადმი სიყვარულისა და გულმოწყალების სახით. უფრო მეტიც, ეს უკვე სრულად იყო გამოცდილი მის პრესიტერიალურ მსახურებაში. „საბოლოოდ, - აღიარა მან რვა წლის წინ სპეციალურ ინტერვიუში, - შიშები, თუნდაც ადამიანური წინააღმდეგობანი, ყოველთვის რჩება, რადგან ჩვენ ადამიანები ვართ, მაგრამ მომავალი განსხვავებულია: ეს არის შესაძლებლობა გულმოწყალე სიყვარულისა, რომელიც მოგვიცავს. და ამიტომ, ამ გულმოწყალე სიყვარულის გარეშე, თვით მიწიერ ცხოვრებასაც კი, თვით ტანჯვასაც კი აზრი არ ექნებოდა. ეს შესაძლებლობა არის არა უნაყოფო, არამედ კონკრეტული, რაღაც უფრო მეტად დიადი, უფრო მეტად მშვენიერი“.

„ჩემი ძმის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, ნამდვილად ვგრძნობ, რა არის აღდგომა. ის ფიზიკურად აქ აღარ არის, მაგრამ მნამს, რომ სიცოცხლე გრძელდება“, - აცხადებს ადელი.

მამა სალვატორე მელონე გარდაიცვალა 2015 წლის 29 ივნისს, 38 წლის ასაკში. მან მხოლოდ 74 დღე იმსახურა მღვდლად, მაგრამ მისი მოწმეობა დროის მიღმაა.



საქართველოს პარიტასის 30 წლის იუბილე



„საქართველოს კარიტასი“ არსებობის 30 წელი იზიმა, მოვლენებით სასვე და საპატიო თარიღი. მეც მასთან ერთად გავიარე ეს წლები. ახლა კი ვფიქრობ წარსულზე. მეხსიერებაში კინოს კადრებივით გაიელვეს საათებმა, დღეებმა, წლებმა; ვფიქრობ და ვხვდები, რომ ამ ოცდაათმა წელიმა გაცილებით მეტი მომცა, ვიდრე მე გავეცი... ის ჩემს ცხოვრებაში ყველაზე რთულ პერიოდში გამოჩენდა, თუმცა მე არ მიჭირდა არც მატერიალურად და არც ჯანმრთელობის მხრივ. უბრალოდ, რადიკალურად შეცვლილი ცხოვრება მთრგუნავდა და ვეძებდი გადარჩენის გზას; ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ადამიანებს გაცილებით მეტი ყოფილი პრობლემა ჰქონდათ. განგებამ დამასაჩუქრა სამსახურით, სადაც წონასაწორობა მოყვასის გვერდში დგომით აღვიდგინე და წამითაც აღარ შემიწყვეტია ამ გუნდთან ერთად მოძრაობა.

90-იანი წლები ჩვენს ქვეცნობიერში ავტედითად ხმაურობს. ვიხსენებ უამრავ სახეს, ეპიზოდს, ჯგუფს, რომელთაც გონება ვერ ივიწყებს, მაგრამ ამ მოგონებებთან მარტო არა ვარ, აქ არიან ჩვენი თანამებრძოლები, სპონსორები, დონორები, კეთილი ადამიანები, ტრენერები, სიკეთის შეუმჩნევლად კეთებას რომ გვასწავლიდნენ. დიდი მადლობა მათ ჩვენ გვერდით დგომისათვის. 30 წელია უხელფასოდ

ვმუშაობ, მოხალისე მქვია, ესეც ძნელად აღსაქმელი სიტყვა იყო ჩვენს ლექსიკონში, მერე ყურიც შეეჩვია, დღეს უდიდესი სიამაყე მიპყრობს და უამრავი ადამიანიც ჩავაბი ამ ფერხულში. თუმცა, „ბენეფიტის“ გარეშე მეც არ მიმუშავა, აბა, რომელი ხელფასი შეედრება იმ სითბოსა და სიყვარულს, კეთილი საქმის კეთებისას რომ განვიცდი, გაკვირვებულ და მაღლიერ თვალებს რომ ვხედავ?! უშურველად როგორ არ მივიტანო ქველმოქმედი ადამიანების მიერ უანგაროდ გაღებული სარგებელი მათ მოსარგებლებამდე? უცხო ქვეყნის მოქალაქე სიკეთის მაგალითს რომ მაძლევს, რაც ქართული გენეტიკისათვის ასე სისხლხორცეულია, როგორ არ დავინახო და არ დავაფასო?!

დასავლეთ საქართველოს კარიტასში თითქმის არ ყოფილა პროექტი, რომელშიც მონაწილეობა არ მიმელოს ჩემს გუნდთან, მოხალისებთან ერთად; ბედნიერი ვარ, რომ მხედავენ, მაფასებენ და მიფრთხილებინ, პატივს სცემენ ჩემს წლებსა და ენთუზიაზმს, თუმცა, სწორედ ჩემი წლებია ჩემი სიმდიდრე და გამოცდილება, და არა სიმძიმე, მით უფრო ბედნიერი ვარ, მეტის გაკეთება შემიძლია, მოდუნების უფლება არა მაქვს, რაზეც მეტყველებს 30 წლის განმავლობაში საქართველოს კარიტასის მსახურებაში მიღებული კიდევ ერთი სამადლობელი ჯილდო. ყოველთვის თქვენ გვერდით მიგულეთ და მიმსახურეთ, მაკეთებინეთ საქმე, რაც, ვფიქრობ, გულით და კარგად გამომდის.

მადლობა დასავლეთ საქართველოს კათოლიკურ საკრებულოებს, ქუთაისის კარიტასის თანამშრომლებს, მის მენეჯერს, ადგილობრივ თუ უცხოელ დონორებს, რომ მაძლევთ საშუალებას, არ შევწყვიტო ჩემი საქმიანობა, რაც ჩემთვის სუნთქვის შეწყვეტის ტოლფასია. მადლობა, რომ თქვენი არსებობით მაბედნიერებთ, თავს საჭიროდ მაგრძნობინებთ და თქვენს ორგანულ ნაწილად მიმიჩნევთ. მადლობა საქართველოს კარიტასს და მის ხელმძღვანელს.

უამრავი გაკეთებული კეთილი საქმე მაინც არ გვაძლევს სიმშვიდის უფლებას, ქვეყნის საყოველთაო გასაჭირო ადამიანებში იმედისა და სიყვარულის დეფიციტს იწვევს, უიმედოდ და უსიყვარულოდ ცხოვრება კი უდიდესი განსაცდელია და კარიტასიც ხომ სწორედ რწმენას, იმედსა და სიყვარულს უბრუნებს ადამიანებს, სინათლესა და სიხარულს ანიჭებს სამყაროს და ყოფას აადვილებს. წარმოუდგენლად დიდია იმის შეგრძნება, რომ შენც ამ პროექტებში მონაწილეობ. შენი ერთგული ჯარისკაცი ვარ, ჩემო „კარიტასო“, და ღმერთმა ის დღე გაუთენოს საქართველოს, რომ ჩვენი მსახურება აღარ დასჭირდეს...

ინერ-ჯორჯიას ახალი პროექტი - „იზრუნვე შენს მომავალზე“

ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებას ოჯახზე ზრუნვა წარმოადგენს. ჯანსაღი მომავალი თაობა ამ თანადგომის განსაკუთრებული ნაწილია. პროექტი „იზრუნვე შენს მომავალზე!“ სწორედ ამ მიზნით შეიქმნა. ჩასახვამდელი ჯანმრთელობის პრევენცია 21-ე საუკუნის პრეროგატივაა. ორსულთა მსოფლიო მედიკალიზაციის ფონზე, მანც არსებობს მედიკამენტები და საკვები დანამატები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით; მათ შორისაა ვიტამინი ბ9, სინთეზური სახელწოდებით - ფოლიუმის მუავა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჩანასახის ადრეულ ასაკში ნერვული მილის დეფექტით გამოწვეული ურთულესი დაავადებების 70-80%-ით თავიდან აცილებაში; მათ შორისაა თავისა და ზურგის ტვინის დაავადებები, ანენცეფალია, ენცეფალოცელე, სპინა ბიფიდა; გულის დაავადებები, ტუჩისა და სასის ნაპრალები... ვიტამინი ბ9, ბუნებრივი ფოლატის სახით, ორგანიზმში თავისით არ გამომუშავდება, იგი დიდი რაოდენობითაა ხორცში, თირკმელსა და ლვიძლში; პარკოსნებში, მწვანე ფოთლოვან ბოსტეულში (ისპანახი, ბროკოლი, ოხრახურში...), ხილში (კივი, ფეიხოა, ფორთოხალი...), თუმცა წყალში ხსნადობისა და თერმოლაპილურობის გამო ორგანიზმი ძნელად შეითვისებს და მარაგსაც ნაკლებად ქმნის, მაშინ როცა (განსაკუთრებით ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში) მასზე მოთხოვნილება იზრდება და არასაკმარისი რაოდენობა იზვევს შეუქცევად პათოლოგიებს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით, მისი მიღება ჩასახვამდელ პრევენციას გულისხმობს და ორი თვით, რისკის ჯგუფისთვის კი სამი თვით, ადრეც არის რეკომენდირებული.

საქართველოს ჯანდაცვის კანონი ორსულთა პროგრამაში ითვალისწინებს ფოლიუმის მუავის უფასოდ მინოდებას ორსულებისათვის, რაც ხშირად დროულად ვერ ხერხდება ნაკლები ინფორმაციის გამო გვიან მიმართვით. არადა დეფექტიანი

ნერვული მილი, რომელიც ფეხმძიმობის პირველ 28 დღეში ყალიბდება, არ გვაძლევს სიმშვიდის უფლებას. ჩვენი პროექტი არ გულისხმობს პარალელურ ბენეფიტს, მას პრეტენზია ნამდვილად აქვს პირველობაზე, რადგან რეპროდუქციული ასაკის (15-49 წლის) ქალების სხვადასხვა ჯგუფს ვაწვდით ინფორმაციას და ვურიგებთ 200 კოლოფ ფოლიუმის მუავას (ეს არის სიმბოლური რაოდენობა), რითაც დიდ სამომავლო საქმეს ვუყრით საფუძველს. პროექტის ნაწილია ასევე დაბალი ჰემოგლობინის მქონე ორსული ქალბატონებისათვის ანალიზის დაფინანსება. ხომ არის ეს ფოლიუმის დეფიციტით გამოწვეული ანემია, რადგან სწორედ ფოლიუმის ნაკლებობა, მსგავსად რკინის ნაკლებობისა, ხშირად სისხლნაკლულობის მიზეზია, ვინაიდან სწორედ ფოლიუმია ერთ-ერთი პასუხისმგებელი ჰემოგლობინის მატარებელ სისხლის წითელ ბურთულაკებზე, ერთოროციტებზე.

პროექტის შექმნისა და განხორციელების აუცილებლობას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში მიმდინარეობს სხვადასხვა პროდუქტისა და მარცვლეულის რკინითა და ფოლიუმით ფორმტიფიცირება, გამდიდრება, რაც საქართველოში მიუღებლად მიაჩნით მთელი რიგი მოსაზრების გამო. არადა 2009 წელს რეპროდუქციული ასაკის ქალბატონებზე ჩატარებულმა კვლევამ ფოლიუმის მუავის 36%-იანი დეფიციტი აჩვენა. ვფიქრობთ, ჩვენი პროექტი, რომლის პრეზენტაცია უკვე საკმაოდ მასშტაბურად ჩატარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის ჩატარულობით, ტელევიზიით გადაიცა და მასში მონაწილეობა ქალაქის რამდენიმე წამყვანმა გინეკოლოგმა მიიღო, გვაძლევს საუკეთესო დასაწყისის შეგრძნებას და დიდ იმედს ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელი მომავლისა და ბედნიერი ოჯახებისათვის.

მიზან უღებელი



კონფერენცია

სოლა ფორუმი 2024



შორისო კონფერენცია - „რელიგია და თანამედროვეობა“. წლევანდელი კონფერენციის არსი ნათლად არის ჩამოყალიბებული ფორუმის ორგანიზატორების მიმართვაში: იზრდება თუ იკლებს რელიგიის როლი თანამედროვე საზოგადოებაში? ჩვენი დროის მკვლევართა პროგნოზით, 2050 წლისათვის მსოფლიოში აქტიურ მორწმუნეთა რაოდენობა მოიმატებს. ეს კი ნიშნავს, რომ რელიგიის მიმართ ინტერესი, მისი ურთიერთქმედებისა და გავლენის კვლევა ათწლეულების განმავლობაში აქტულობას არ დაკარგავს. ევროინტეგრაციის გზაზე მდგარი საქართველოსათვის, სადაც სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის კავშირი ძლიერია, საზოგადოებისათვის კი რელიგიური აფილიაცია კვლავ რჩება ეროვნული იდენტობის მდგარენებად, რელიგიისა და თანამედროვე საზოგადოების მიმართებების გააზრება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. როგორ პასუხობს ესა თუ ის რელიგიური ტრადიცია თანამედროვეობის გამოწვევებს?

საერთაშორისო კონფერენცია - „რელიგია და თანამედროვეობა“ მიზნად ისახავდა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა რელიგიური ტრადიციისა თუ დისციპლინათაშორისი პოზიციების წარმოჩენას; მათი თეოლოგიური, ფილოსოფიური, სამართლებრივი, ისტორიული, პრაქტიკული ასპექტების გაანალიზებას, თანამედროვე გამოწვევებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით... და სწორედ ამ კითხვაზე პასუხებს ეძღვნებოდა უცხოელ და ქართველ მომხსენებელთა გამოსვლებიც.

კონფერენციის პირველ დღეს მოხსენებებით გამოვიდნენ დოქტორი სტივენ დრეი, პროფესორები სოფო ზვიადაძე და თამარგრძელიძე. ეპისკოპალურმა ვიკარიუსმა მამა გაბრიელე ბრაგანტინიმ თავის გამოსვლაში მიმოიხილა უახლოეს პერიოდში კათოლიკე ეკლესიის მდგომარეობა და არსებული გამოწვევები, რომლებიც ზოგადად რელიგიური გაერთიანებებისა და კონკრეტულად კათოლიკე ეკლესიის წინაშე იჩენს თავს თანამედროვე ეპოქაში. რელიგიისა და თანამედროვე ფეტიშიზმის, ადამიანის კერპად ქცევის პრობლემებზე ისაუბრა მართლმადიდებელი ეკლესიის დეკანოზმა, გიორგი წეროძემ. დიდი ინტერესი

2017 წელს, საქართველოს ქრისტიან სტუდენტთა კავშირის (IFES in Georgia) ინიციატივით, დაარსდა სამეცნიერო კონფერენცია „სოლა ფორუმი“, რომლის სახელწოდების ინსპირაციის წყარო გახლდათ ქრისტიანული რეფორმაციის ძირითადი სწავლება „ხუთი სოლა“. სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზატორები ყოველწლიური შეხვედრის თემად ქრისტიანული საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე აქტუალურ საკითხს ირჩევდნენ. აქვე აღვნიშნავ, რომ დაარსებიდან პირველი ოთხი წლის განმავლობაში „სოლა ფორუმის“ მასპინძელი სულხან-საბაორბელიანის უნივერსიტეტი იყო და კათოლიკე მღვდელმსახურები და მეცნიერები თავიდანვე აქტიურად იყვნენ ჩართული ამ კონფერენციების მუშაობაში. ამიტომაც კათოლიკეებს განსაკუთრებული თბილი დამოკიდებულება გვაქვს ამ სამეცნიერო ფორუმის მიმართ.

მიმდინერე წლის 12-13 ნოემბერს საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა სოლა ფორუმის მორიგი, რიგით მეშვიდე, საერთა-

პონთიაკები

გამოიწვია საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მუფტის, **ადამ შანთაძის**, მოხსენებამ „ისლამი და თანამედროვეობა“. აღვნიშნავთ, რომ სოლა ფორუმში პირველად მონაწილეობდა მუსლიმი სასულიერო პირი, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს ინტერკონფესიული დიალოგისა და რელიგიათაშორისი ურთიერთობების თვალსაზრისით. კონფერენციის ფარგლებში გაიმართა პანელური დისკუსიაც - „**რელიგია და ახალგაზრდობა**“, რომელშიც მონაწილეობდნენ სულხან-საბა ორბელიანის რექტორი, **მამა აკაკი ჭელიძე**, არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდობა ქრისტესათვის“ დირექტორი **ელისო ბერაძე**.

მეორე დღეს კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს იელე ქრემერსის, არჩილ მეტრეველის, **ბარტრანდ ბილის**, დავით მეზურნიშვილის მოხსენებები. პროფესორ ნუგზარ ბარდაველიძის მოხსენება „**გენუელთა ახალშენები და სებასტოპოლისის (ცხუმის) კათოლიკური ეპარქია**“ საყურადღებო გახლდათ საქართველო-ევროპის ისტორიული კავშირების ახალი ფაქტების წარმოჩენის თვალსაზრისით. მომხსენებელმა თავის კვლევაში კიდევ ერთი ისტორიული მოცემულობით დაასაბუთა ქართულ-ევროპული ერთიანობა,

რაც ნათლად იკვეთება საქართველოს შავიზ-ლვისპირეთში გენუელთა კულტურული მემკვიდრეობის საფუძველზე, რომელიც ემყარება მე-13-15 საუკუნეების იმ დოკუმენტებს, რომ ორი საუკუნის განმავლობაში სებასტოპოლის ეპარქია გენუის მიტროპოლიის სუფრაგან ეპარქიას წარმოადგენდა და უშუალოდ შედიოდა გენუის მიტროპოლიის შემადგენლობაში. **დღესაც კათოლიკე ეკლესის სატიტულე კათედრათა ჩამონათვალში მოიხსენიება აბაზგის სებასტოპოლისი, როგორც სატიტულო კათედრა.** ეს, თავის მხრივ, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სებასტოპოლისის, ანუ დღევანდელი სოხუმის საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც თავის იურისდიქტიაში აერთიანებდა გაგრიდან ბათუმის ჩათვლით შავიზლვისპირა ტერიტორიას, მე-13-15 საუკუნეებში, როგორც გენუის მიტროპოლის სუფრაგანი ეპარქია, უშუალოდ იყო და ასევე რჩება გენუის სამიტროპოლიტო ეპარქიის ნაწილი, ანუ საქართველოს შავიზლვისპირეთი გენუის მიტროპოლიის ნაწილი გახლდათ, რაც ამ რეგიონის ევროპასთან ორგანულ კავშირზე მიუთითებს.

„სპას“ სპეციალური კორესპონდენტი





შოკოლადის საშობაო რულეტი

ეს ტკბილეული ნამდვილად
დაამშვენებს თქვენს
სადღესასწაულო სუფრას!

ინგრედიენტები:

- 175 გრ შავი შოკოლადი
- 6 ცალი კვერცხი (გულები გამოა-
ცალკევეთ ცილისაგან)
- 175 გრ შაქრის პუდრა
- 300 მლ ათქვეფილი ნალები
- 350-400 გრ შოკოლადის კრემი (შო-
კოლადის პასტა ან მოხარშული შეს-
ქელებული რძე კაკაოსთან ერთად)
- 100 გრ შავი შოკოლადი
- 100 გრ თეთრი შოკოლადი
- 120 გრ უოლო

მომზადების წესი:

გაადნეთ შოკოლადი. შემდეგ გააცივეთ. კვერ-
ცხის გულები ათქვიფეთ მიქსერით და შეურიეთ
გამდნარი შოკოლადი. ათქვიფეთ კვერცხის ცილა,
ცოტაოდენ მარილთან ერთად, სანამ არ გა-
თეთრდება და ნაწილ-ნაწილ ფრთხილად შეური-
ეთ გულებისა და შოკოლადის ნარევს (შეეცადეთ
მაქსიმალურად ჰაეროვანი იყოს). საცხობ ტაფაზე
დააფინეთ ჰერგამენტი, ნაუსვით კარაქი და მოათ-
ავსეთ მიღებული მასა. გამოაცხვეთ 20-25 წუთის
განმავლობაში 180 გრადუს ტემპერატურაზე გახ-
ურებულ ღუმელში. ოდნავ გააგრილეთ, მოაყარეთ
ქალალდს შაქრის პუდრა და გადაიტანეთ მასზე.

გადაახვიეთ, გადააფარეთ ქალალდი და სველი
პირსახოცი და დატოვეთ, სანამ არ გაცივდება.

გაადნეთ შავი და თეთრი შოკოლადი (ცალ-ცალ-
კე). მოათავსეთ ჰერგამენტით დაფარულ ზედა-
პირზე. გააცივეთ. როცა თითქმის გამაგრდება,
ამოჭერით ვარსკვლავები ვარსკვლავის ფორმის
საჭრელით და კარგად გააცივეთ.

ფრთხილად გამალეთ რულეტი. მოაცალეთ ქა-
ლალდი. წაუსვით შოკოლადის კრემი და ათქვე-
ფილი ნალები (ცოტა დატოვეთ მოსართავად), ზედ
მოათავსეთ კენკრა და გადაახვიეთ. მოაყარეთ
შაქრის პუდრა, შუაში ნაუსვით ათქვეფილი ნალები
და მორთეთ შოკოლადის ვარსკვლავებით.

პითევარი

ქვირფასო მკითხველო, მრავალი წელია, რაც უურნალი „საბა“ ყოველთვიურად გაწვდით კათოლიკე ეკლესიის წიაღში მიმდინარე სიახლეებს. ჩვენი საქმიანობა რომ უფრო ნაყოფიერი იყოს, მომზადებული მასალები - საინტერესო, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მკითხველის მოსაზრებაც. გთხოვთ, შეავსოთ ქვემოთ მოცემული მცირე კითხვარი; შემდეგ აღნიშნულ გვერდს გადაუდეტ ფოტო და გამოაგზავნეთ ელფოსტაზე: journali.saba@gmail.com, ან ამოჭერით უურნალიდან და გადაეცით მოძღვარს.

გმადლობთ გულწრფელობისა და თანამშრომლობისათვის. საუკეთესო სურვილებით, უურნალ „საბას“ რედაქცია.

- 1) რამდენად ხშირად კითხულობთ უურნალ საბას? (შემოხაზეთ სასურველი პასუხი)
 - ა) ყოველთვის ვკითხულობ
 - ბ) იშვიათად ვკითხულობ
 - გ) საერთოდ არ ვკითხულობ
 - დ) -----

- 2) თუ არ კითხულობთ, რა არის მიზეზი?
 - ა. ჩემთვის საინტერესო არ არის
 - ბ. არ მცალია
 - გ. სხვა -----

- 3) თქვენი ასაკი
 - ა. 25 წლამდე
 - ბ. 25-35 წლამდე
 - გ. 35-45 წლამდე
 - დ. 45-55 წლამდე
 - ე. 55 და ზევით

- 4) როგორი ფორმატით გირჩევნიათ უურნალის წაკითხვა?
 - ა) ბეჭდური
 - ბ) ელექტრონული

- 5) რომელი რუბრიკა მოგწონთ ნაკლებად? (შემოხაზეთ სასურველი პასუხი, შესაძლებელია
 - • • • •

- 6) რომელი რუბრიკა მოგწონთ ნაკლებად?
 - • • • •

- 7) რა თემაზე ისურვებდით სტატიებს 2025 წლის უურნალის გამოცემებში?
 - • • • •

- 8) თქვენი რჩევა ან კომენტარი, რომელიც შეიძლება გაითვალისწინოს სარედაქციო კოლეგიამ.
 - • • • •



განსვენება საუკუნო მიანიშა მათ, უფალო!



ართურ ხუბასიანი
* 28. 11. 1971,
ოზურგეთი
† 26. 09. 2024, ბათუმი



ვალეა ვიგორიანი
* 25. 11. 1944, მინსკი
† 27. 09. 2024, თბილისი



სარგი სარჯიანი
* 03. 03. 1950, ოზურგეთი
† 28. 09. 2024, ოზურგეთი



ესანა ელეაშვილი
* 12. 10. 1943, თბილისი
† 22. 10. 2024, თბილისი



ალექსანდრე
მელიაშვილი
* 04. 01. 1931, ახალქერი
† 27. 10. 2024, ახალქერი



კატარა ფაიდოვალი
* 10. 01. 1938, წულუკებელი
† 09. 11. 2024, ახალქერი



კათარა განილოვი
* 10. 09. 1952, გალე
† 20. 11. 2024, გალე



საბავარი რეზალიტი: მ. გამრევე პროფესიანი CSS

ხარისხადი კოლეგია: ნებარ ბარევულიძე, ფრიდ ლინაძე, შორენ პარამაშვილი, მერაბ ლიჭანიძე, ყელი სოლიმელი

ტენისის შეართებისა: შევგ. მიხეილ სურიავა, თამაზ სედონაძე

მსამართი: უწინვე კაბინ* ჩემატება, ვა აქციას ქ. №43 0105, თბილისი, საქართველო;

E-mail: saba.jurnali@gmail.com; რეკლამური №1853, ფარისის შინანი ანტრიუმი მდგ. 1995 წლის, © კაბა*

ISSN 2720-8001